საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

64697-04-03-2-202207141749

N 04-03/64697
14/07/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა
და ეკონომიკის სამინისტროს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

მუნიციპალიტეტების მერიებს

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 96-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე გაცნობებთ 2023-2026 წლების ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს და მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, კერძოდ:

- რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2023 წლისათვის მოსალოდნელია - 5,5%, ხოლო მომდევნო 2024-2026 წლებში - 5,1%-ის ფარგლებში;
- მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი ნომინალურ გამოხატულებაში 2023 წლისათვის შეადგენს 75 624.0 მლნ ლარს;
- საშუალო წლიური ინფლაცია 2023-2026 წლებისათვის პროგნოზირებულია 3.0%-ის ოდენობით;
- ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების პროგნოზი 2023 წლისათვის შეადგენს 23 014.0 მლნ ლარს, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის - 20 052.8 მლნ ლარს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების პროგნოზი შეადგენს 4 164.0 მლნ ლარს;
- ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი 2023 წლისთვის შეადგენს 17 509.0 მლნ ლარს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები შეადგენს 15 092.8 მლნ ლარს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ნაერთი საგადასახადო შემოსავლები (მათ შორის დღგ) - 2 416.2 მლნ ლარს;
- ნაერთი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების პროგნოზი შეადგენს 1 390.0 მლნ ლარს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები შეადგენს 910.0 მლნ ლარს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების სხვა შემოსავლები 480.0 მლნ

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261412;
ელფოსტა: info@mof.ge
ვებგვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261412;
E-mail: info@mof.ge
Website: www.mof.ge

ლარს;

- არაფინანსური აქტივების კლებით მობილიზებული სახსრების საპროგნოზო მოცულობა 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტისათვის მოსალოდნელია 250.0 მლნ ლარის ოდენობით;
- მუნიციპალიტეტების კუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადი განაწილდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად, 2023 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელის 19%-ის ოდენობით და შესაბამისად ნომინალურ გამოხატულებაში მისი საპროგნოზო მაჩვენებელი თითოეული მუნიციპალიტეტისათვის დაზუსტდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და შესაბამისი მაკრო-ფისკალური პარამეტრების საქართველოს პარლამენტში წარდგენისას. (იხილეთ დანართი 2023-2026 წლებში დღგ-ის სახით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების შესახებ)

ამასთან, გეგზავნებათ 2023-2026 წლების განახლებული მაკროეკონომიკური პროგნოზები.

დანართი: „12“ ფურცელი.

გიორგი კაკაურიძე

მინისტრის პირველი მოადგილე